ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-03

2011 წლის 28 იანვარი
ქ. ქობულეთი

შ.პ.ს. „მობიტელ“-ზე მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში საბაზო სადგურის განსათავსებლად ფართის გამოყოფის შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის „ძ“ ქვეპუნქტისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. შ.პ.ს. „მობიტელ“-ს გამოეყოს ფართი (41.0 $მ^2$) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში საბაზო სადგურის განსათავსებლად.

2. საიჯარო ქირა განისაზღვროს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 აგვისტოს №-76 განკარგულება.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე